

S 72
1988

ISSN 0132-5865

საქართველოს
განათლების
მინისტროს



1988 წ. პირველი № 3

ბიჭა



მედიკინა



მარტში, ყველამ იცით, ერთი უსაყვარლესი დღეა, რომელსაც სიყვარულით ულოცავთ თქვენთვის ძვირფას ქალებს.

უკვე სადაც არის 80 წელიწადია (1910 წლიდან) დადგინდა, რომ ყოველწლიურად მარტში მთელ მსოფლიოში აღინიშნოს ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის, ანუ ერთიანობის დღე. თავდაპირველად ეს ერთიანობა მიზნად ისახავდა ქალების განთავისუფლებას, მამაკაცებთან თანაბარი უფლებების მოპოვებას... ახლა 8 მარტი აღინიშნება როგორც მშვიდობისათვის ქალთა ერთობლივი ბრძოლის დღე. ქალებს — დედებს, ბებიებს, დებს, ცოლებს მშვიდობა უნდათ ყველასათვის... ჩვენ კი ყველას გვიყვარს ისინი და რაიმე გულითადი, უბრალო საჩუქრით ვუცხადებთ ჩვენს სიყვარულს...

100 წელი სრულდება დიდი პედაგოგის ანტონ მაკარენკოს დაბადებიდან... საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში, უმძიმეს ვითარებაში უხდებოდა მას მოღვაწეობა... და იმ არეულ დროს გზას აცდენლი მრავალი ბავშვი სწორ

გზაზე დააყენა. მაკარენკოს პედაგოგიური მრწამსი იყო პიროვნების პატივისცემა და ნდობა, აღზრდაში ის უდიდეს როლს ანიჭებდა შრომას და კოლექტივის ძალას...

მაკარენკო ჩინებული მწერალიც იყო... ცოტა ხანში თქვენ უკვე შეძლებთ წაიკითხოთ მისი მხატვრული ნაწარმოებები, მათ შორის „პედაგოგიური პოემა“.

120 წლის წინათ დაიბადა მაქსიმ გორკი — საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი. იქნებ რომელიმეს წაგვიკითხავთ მისი მშვენიერი ზღაპრები! თუ არა და, წაიკითხავთ. წამოიხრდებით და წაიკითხავთ მის მოთხრობებს, პიესებს, რომანებსაც... მაქსიმ გორკიმ დააჯარსა მრავალი ჟურნალი, შემოიღო სერიები „გამოჩენილ აღამიანთა ცხოვრება“, „პოეტის ბიბლიოთეკა“ და სხვა, რომლებიც, მოვა დრო

და, ძალიან ბევრ რამეს შეკმენთ.

ყველამ იცით, ვინ არის პირველი კოსმონავტი, ისიც როდის გაფრინდა პირველად აღამიანი კოსმოსში. მაგრამ ის თუ იცით, როდის და ვინ გავიდა პირველად ღია კოსმოსში? ეს იყო 1965 წლის 18 მარტს. კოსმონავტი — მფრინავი ალექსი ლეონოვი კოსმოსური ხომალდიდან ღია კოსმოსში გავიდა და 12 წუთი დაჰყო იქ...

„მე პატარა ქართველი ვარ კავკასიის მთების შვილი...“

ამ ლექსს ყველა ქართველი ბავშვი ბოლომდე ჩააბუღლებულეს, თუ ვერა და, ის ქართველი ბავშვი არ ყოფილა... ვინ დაწერა ეს ლექსი? დღეღამე მგერელმა, რომელმაც ამ უკვდავ ლექსს გარდაღაკვიტოვა მოთხრობა — შედეგად: „ქინაქინა“ ქართველი ბავშვების უსიხარულო ყოფაზე რეკლამისადაც. დღეღამე მგერელის / მისი ნამდვილი გვარია ხოშტარია / მუდლევ მწერალი იყო — ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და მანაც დავწლი დასდო ქართულ საბავშვო მწერლობას.



ნაკოდუნა

ტარიელ ჭანტურიცა



ნაკოდუნა რვა მარტს

ულონავს დღას

სახუქარი შენთვის,
რომ იცოდე, რა მქვს:
ჰა, შენ, ასი კოცნა! —
მოვილოცავ რვა მარტს!



ტუქსავს ბებო

ნაკოდუნას

— ვასანძობო ხელო,
— მოსატეხო ფეფო, —
კარგად ხართ მუდამ,
როცა გტუქსავთ ბებო!
— აქ რა უნდა შელანს!
— იქ რა უნდა წებოს! —
დღეში ასჯერ მაინც
მიჯავრდება ბებო!
დღეს ბებოსთვის ია
ვაუიდეინე მამას!
ბებო — ახლაც მტუქსავს
მე — ვულოცავ რვა მარტს!

18704

ჩიტსაც გაეცინა. მერე ფრთებიდან ჭირხლი და-
იბრტყა და ვარდისფერ ციცინათულასთან მი-
ფროხივდა:

— დილა მშვიდობისა, ციცინათულა!..

ნუშის კვირტმა არაფერი უპასუხა. დაბუა
ჩიტს არ გაჰკვირვებია. იფიქრა, ჯერ პატარაა
და იქნებ ლაპარაკი არც კი იცისო. უცებ კვირ-
ტმა გადაიკისკისა:

— ციცინათულა კი არა, ნუშის კვირტი ვარ,
როგორ ვერ მიცანიო.

დაბუა ჩიტს თვალები აუციმციმდა:

— მე კი მიჟღურტულეს, ნუში სააპრილოდ
იმეჯლისებსო...

— რას ამბობ, აპრილამდე რა მომაცდევინე-
ბდა?! — გაოცა ნუშის კვირტმა.

მთელი დღე კისკისსა და ჟღურტულში გა-
ატარეს. სადამის სუსხმა იმძლავრა. მოიყუნტა
ნუშის კვირტი, დაბუა ჩიტიც მოიბუხა. ცამ
პეპლისოდენა ფანტელები წამოფარა. დაბუა ჩი-
ტმა ფრთები ფრთხილად წამოაფარა კვირტს,
ცდილობდა გაეთბო. მერე ჭიკჭიკიც კი დაიწყო,
ნუშის კვირტმა არ მოიწყინოსო. უცებ კულიანმა
ქარმა ჩამოიქროლა, ხის ტოტებზე შერწყნილი
თოვლის ფთილები ჰაერში დააბორილა. ნუ-
შის კვირტს ისე ძალიან მოეწონა ფიფქების
ფრენა-ფარფატი, რომ ერთ ადგილზე ვეღარ ჩე-
რდებოდა, მოუსვენრად ცქმუტავდა. მერე დაბუა
ჩიტს შეეხვეწა, როგორმე ფრენა მასწავლეო.
გაოცდა დაბუა ჩიტი: აბა, კვირტის ფრენა ვის
გაუგონია, თანაც ამ ყინვაშიო. გულდაწყვეტი-
ლმა ნუშის კვირტმა თავი ჩაქინდრა და გა-
ებუტა.

ამასობაში კიდეც დაღამდა. ჩიტმა ისევ წა-
მოაფარა ფრთები კვირტს და დაღლილს კიდეც
ჩასთვლიდა.

კულიანმა ქარმა დრო იხელთა, ისევ ჩამო-
უქროლა ნუშის კვირტს და წასწურწულა:

— წამომყევი ნუშის კვირტო,

ნიაგ-ქარსა, ზენასაო...

გასეირნებ აღმა-დაღმა,

თან გასწავლი ფრენასაო...

გაეხარდა კვირტს. დაბუა ჩიტს მალულად
გახედა. როცა დარწმუნდა, მართლა სძინავსო,
კულიან ქარს თანხმობის ნიშნად გაულემა და
თავი დაუკრა. ქარსაც ეს უნდოდა, მძლავრად
ჩამოიქროლა, ნუშის კვირტს კული მოჰხვია, მო-
სწყვიტა ტოტს და გაიყოლია. დააქროლებდა
აღმა-დაღმა, ტყე-ტყე და მინდორ-მინდორ.



ნუშისკვაგილიანი ქარი

ცირა გოგაშვილი

ჯერ ისევ ზამთრის სუსხი იკბინებოდა. მა-
გრამ დახეთ ერთ სულსწრაფსა და მოუსვენრად
კვირტს, წააბ და... გამოხტა, დასკუბდა ხის ტო-
ტზე, იწყო წამწამების ფახული. იქვე, მახლო-
ბლად, დაბუა ჩიტს ჩასძინებოდა. ხმაურზე გა-
მოეღვიძა. რას ხედავს, ვარდისფერი ციცინა-
თელა უცინის და შორიდან ეპრანჭება. დაბუა

კვირტს მალე შესცივდა. კუდიან ქარს საწყა-
ლობლად შევედრა: მილად გავითოშუე, გეთაყ-
ვა, ისევ ჩემს ტოტზე დამაბრუნეო. მაგრამ კუდი-
ანი ქარი რისი კუდიანი იყო, ყურსაც არ იბერ-
ტყავდა. ხან დაბზრიადლებოდა, ნუშის კვირტს
კუდით ჩაითრევდა და თავბრუს ახვევდა. ხანაც
მადლა აიტაცებდა, კუდს გაუშვებდა და და-
ფეთებული კვირტი გულგახეთქილი მოჰქროდა
მიწისკენ... თავად კი ვერაგულად სისინებდა:

— აჰა, იფრინე, მეტიჩარავ!

დაბუა ჩიტი განაფხულის სურნელმა გამო-
ავიძა. რას ხედავს, სადღა კვირტი. ერთხანს
ნუშის ხეს ახლომახლო უტრიალა, უცებ გა-
იფიქრა, კუდიანმა ქარმა თუ გააბრიევო. მერე
შეფრთხილდა და ნუშის კვირტის სამებნელად
გასწია. ბვერი იფრინა, თუ ცოტა იფრინა, ქარს
წამოეწია, ხედავს, გათოშილი ნუშის კვირტი
კუდში ჩაუხვევია და თავის ნებაზე ატრიალებს.
დაბუა ჩიტი კუდიან ქარს შევედრა:

— ქარო, ხეებზე უკვე კვირტები იშლებიან,
გვედრები, დააბრუნე ნუშის კვირტი თავის
ტოტზე, თორემ ვეღარ გაიფურჩქნება!..

მაგრამ ქარს ვაგონებაც არ სურდა. მაშინ
დაბუა ჩიტმა ძალა მოიკრიბა, თავგანწირვით
ჩამოუქროლა კუდიან ქარს, კვირტი ფრთით
აიტაცა და ნუშის ხისაკენ გააქროლა.

უკვე გვიანდა იყო, ნუშის კვირტის საბუ-
დარში ახალ კვირტს ამოეყო თავი და იფურ-
ჩქნებოდა...

შეწუხდა დაბუა ჩიტი, ჩამოუფრინა ნუშის
ტოტებს, მაგრამ კვირტებაფეთქებულ ხეზე თავ-
ნება კვირტს ადგილი ვეღარ უპოვა. ამასობაში
კუდიანმა ქარმა ღრო იხელთა და დაბუა ჩიტს
კვირტი გამოსტაცა, მიაქროლებდა და თან ქირ-
ქილებდა: შენისთანა ჩერჩეტი სხვა ვერავინ ვი-
პოვეო.

დაბუა ჩიტი ქარს დაედევნა, კუდში ჩა-
აფრინდა, მერე გათოშილ კვირტს ფრთები მო-
ახვია, გულში ჩაითბუნა და შევედრა: გაიშალე
ნუშის კვირტო, გაიშალე და საბუდარს ჩემს გუ-
ლში იპოვო... დამფრთხალი კვირტი გამოცო-
ცხლდა, წამწამები დააფახულა, დაბუა ჩიტს
გაუღიმა და მშვენიერ ნუშის ყვავილად გაი-
ფურჩქნა.

გახარებული დაბუა ჩიტი უფრო გულდაგულ
ჩააფრინდა ქარს კუდში და ნუშის ყვავილთან
ერთად დაჰყვებოდა ადმა-დადმა. ახლა კუდიანი
ქარი ეხვეწებოდა, ოღონდ თავი დამანებეთ და

არას დაგიშვებთო. გულში კი ფიქრობდა: ჩრ-
დაბუა ჩიტი მომეშვებოდეს და ამ მეტიჩარა ნუ-
შის ყვავილს სულ ფურცელ-ფურცელ ვაფრი-
ალებო. მაგრამ კუდიან ქარს აბა, ვინღა ენდო-
ბოდა. როგორც კი ხის კენწეროები ნუშის ყვა-
ვილს თვალს მოჰკრავდნენ, უმალ ჩამოსწურჩუ-
ლებდნენ ყვავილებს: ფრთხილად! პაწიებო, მა-
გრად ჩამტყიდეთ, ნუშისყვავილიანი ქარი მოქ-
როსო.

ნუშის ყვავილი კი დაბუა ჩიტთან ერთად
ფრთხილად კისკისებდა. სამხიარულო მარ-
თლაც რომ ჰქონდათ: ვერაგი კუდიანი ქარი ავ
საქმეებს ძველებურად ვეღარ სწადიოდა.



ქურდი ფისო

წინო ყვაროვნული

ფისო, მკე მიწონს მომორდი,
რა შენი გახსწურია?
ბოჩოლამ მიტომ დაუთმო,
სიცინანი წვეს ზურია.
თორემ გამოვალ გარეთ და
განანებ, თუ ვარ მურია!



ლილეო

ჯულიბა ბილიანი

ლილეო,
ლილე,
ლილეო,
მხევე,
თვალი გახსილეო.
თოვლი და ჭეპანი ზამთრისა
მალევე გაცდილეო.
შენი შუქსიციანი
მიღალ მთებს
მხურვალედ დადილეო...
ლილეო,
ლილე,
ლილეო,
მხევე,
თვალი გახსილეო!

ლხინი

თამარ აბულაძე

ნიკამ ჩაბერა სლამურს,
მარინემ ჩამოუარა,
ნათის თაყი დაუკრა,
იმანაც არ იუარა.
ფარნამ კვლავები გაშალა —
თითქოს არწივის მართვეა —
ტომი გახურდა, ცმკვეს
ფარნა, მარინე, ნათია,
იმეთი ლხინი გამართეს,
იტყვი, ქვეყანა მათია.

ია

დომო ბილიანი

გაიშალა ლურჯი ია,
ნახია და ზაქონია,
ტულიბირი ტუხისნია,
ესხურება თბილი წვიმა,
ცვარმა ზირი გადბანა,
მოკლე კბა დაუხედა,
და ნიაყი აქეთ-იქით
ქანაყებს სელა-სელა.



ჩიტისა და მელისა სხალი ზღაპარი

ნაწი თარაბაძე

„ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!“
— რისთვის მუხახი მელაო?
— „ერთი ბარტეი ბადომივღე“,
სიცოცხლე თუ ტსურს შენაო.
— რასა ბრანებ მუღიაო,
საქმე შემოგულიაო?
სამი ბარტეი მუგუს, სამივე
სიცოცხლეს მიჩვენებიაო.
ოი, მე წუწუო მელაო,
ვერ შემაძინებ, ვერაო,
ათი ბარტესან რომ მუვღეს,
ერთსაც არ მოვცემ შენაო.
— „ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო“,
მე თუ ვეოფილვარ მელაო,
ახლა მკე ხეს მარმი მოვჭრი,
რახვედ ბუღე ტაქეს შენაო;
სად წამისვალ ჩიორაო,
ჩემს ხელთ იქნებთ ეველაო,



ვერ შენს ბარტეებს გადავსხსილეო,
მერე მივირთმევე შენაო.
— შე ცრუბუნტელა მელაო,
გამჩენმა შეგანენიაო,
ხეს ფოთოლსაც ვერ მოაწვევტი,
ხის მომჭრელი ხარ შენაო?
რომც მოსჭრა, ვერას დავუკვლებ,
ბარტეებს ვასწავლე ფრენაო,
ხელში არ ჩავივარდებითი,
ღელი, ღელი, ღელიაო,
მარტყენა ფესზე ამდგარხარ,
იხე მომეცა ლხენაო!
წადი, სოროსკენ მოვსვი,
სიკეთეს გირევე შენაო,
თუ მონადირე მოგისწრო,
ვაითუ მზე დავიბნელოაო;
შვილები ობლად არ დავრჩეს,
დახანრდელი ბევეს შველოაო!



ბეშუკებო! ბუკრ თქვენგანს ალბათ კარგად ახსოვს ჟურნალ „დილის“ 1986 წლის №7-ში გამოქვეყნებული მოთხრობა „იადონი დიტო“, სადაც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ როგორ დაკარგა მისომ საყვარელი იადონი, როგორ დაწერა განცხადება ამის შესახებ და როგორ იხოვებს დაკარგული ჩიტი კეთილმა ბაჭებმა. ეს მოთხრობა იმ ძველი ამბის გავრცელებაა.

ნაიყვანა მიხომ იადონი დიტო

ლოლო ვალაჰკორია

ცხოვრობდა ჩვენთან იადონი დიტო და ველოდით, როდის დაიბეჭდებოდა ჩვენი წერილი ჟურნალ „დილაში“, როდის წაიკითხავდა მას მიხომ და როდის შემოგვეხმანებოდა.

სანამ რედაქციაში ჩვენი წერილი წაიკითხეს და დაბეჭდეს, კარგა დრო გავიდა.

დადგა ზაფხული.

მიხომ თავის პატარა ძმასთან ერთად ქვიშხეთში წაიყვანეს დასასვენებლად.

ერთ დღეს მიხომ და დედა ფოსტაში წავიდნენ წერილის გასაგზავნად. ჟურნალ-გაზეთების ჩიხურში მიხომ ახალი „დილა“ შენიშნა და დედას თვალით ანიშნა, — მიყიდეო. ბიჭი გზადაგზა ათვალთვლებდა ლამაზ ჟურნალს. უეცრად წამოყინულა, მიხომ შეშინდა, ჟურნალი გაფუჭდებოა, სასწრაფოდ დახურა და დედას მიაწოდა, თუმცა ძლიერ უნდოდა, ისევ ჩაეჭყიტა შიგ.

წვიმამ იმატა, წამოუშინა, მიხომ და დედა სირბილით მივიდნენ სახლამდე.

პატარა ოთუნა აივანზე შეეგება დედას, ხელში ამიყვანეო, — მკლავები ასწია. დედამ ბიჭი კალთაში ჩაისვა, ჟურნალი ხელით გაასწორა და ფურცვლას შე-

უღდა. ოთუნა ხმამალა იცინოდა, ფერად-ფერად სურათებს თითით უჩვენებდა.

უეცრად — “ეს რა არისო?” — ხმამალა თქვა დედამ. და თვალბგაფართობულმა მიხოს დაუძახა. მიხოს რაღაც დელვა შეეპარა, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა დედას და მონუსხულივით შეაჩერდა.

— აქ ჩაიხედე, მიხომ, მე კი ნუ შემომყურებ. — ძალიან ჩუმად თქვა დედამ და საჩვენებელი თითი ჟურნალის ერთ-ერთ გვერდს დაადო.

მიხომ ჟურნალში ჩაიხედა და სრულიად ნათლად დაინახა კარგა ხნის წინათ დაწერილი საკუთარი განცხადება, ლიფტის გვერდით კედელზე რომ მიაკრა...

დედამ ხმამალა დაიწყო ვილაც დეიდას წერილის კითხვა, მაგრამ მიხოს არაფერი არ ესმოდა, დედას ჟურნალი გამოსტაცა, მეორე ოთახში გავიდა, ტახტზე წამოწვა, ჟურნალი გადაშალა და თითის გაუოლებით ყველაფერი თვითონ წაიკითხა...



მხატვარი თამაზ სუციშვილი



— მიხო, შენი იაღონი დიტო ვიპოვეთ, მოდი და წაიყვანე! — ეწერა შურნალში.

გახარებული მიხო ფეხზე წამოიჭრა, შურნალი აიღო და დედასთან გავიდა. დედა გაღიმებული სახით ბებიას რაღაცას ელაპარაკებოდა.

— დედა, დედიკო, ჩქარა ადექი, წავიდე, დიტო გამოჩნდა! — შეეხვეწა სახეწამოწითლებული მიხო.

— მიხო, გენაცვალე... შენ ალბათ დავაიწყდა, ჩვენ რომ ქვიშხეთში ვართ, ისინი კი, ვინც შენი იაღონი იპოვა, თბილისში არიან, ან იქნებ სულაც ჩვენსავით აგარაკზე იხვენებენ და დიტოც იქა ჰყავთ წაყვანილი. — დედამ ოთუნა იატაკზე ჩამოსვა, მიხო გულში ჩაიკრა და დამშვიდება დაუწყო. მიხოს მძლავრად უცემდა გული.

დადგა სექტემბერი.
ბიჭებს, რომლებმაც იაღონი დიტო

იპოვეს, ახლა საკუთარი იაღონიც ჰყავდათ, ამიტომ მოუთმენლად ელოდნენ მიხოს.

ერთ დღეს კარზე ზარის ხმა გაისმა. სამივე ბიჭი ერთად მივარდა კარს გასაღებად. ზღურბლზე შავტუხა, თავლისფერთვალემა ბიჭი იდგა დედასთან ერთად, დედა იღიმებოდა, მიხოს კი ტუჩები მოეკუმა და ორივე ხელით ზურგჩანთის თასმები ჩაებღუჭა.

... უფროსმა ბიჭმა იაღონი გალიით გამოიყვანა. მიხოს თითქოს ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდა. ბიჭები გვერდით ამოუდგნენ.

— შენია?!

მიხომ თავი დააქნია და გალიას მიუახლოვდა.

— დიტო! — ჩასჩურჩულა ჩიტს, — დიტო, გამოიხედე! — შეეხვეწა.

ჩიტი მიხტა-მოხტა და გალიის უკანა კედელს ისე შეაფრინდა, თითქოს დამალვა უნდოდა. მიხო გაოცდა, შემდეგ კი რაღაცას მიხვდა, სასწრაფოდ ჩამოხსნა ჩანთა მხრებიდან, მერე ფორმის ზედატანი გაიძრო, ჩანთა და ფორმა იქვე სავარძელზე მიყარა და კვლავ გალიას მიუბრუნდა.


— დიტო, დიტო, შემომხედე! — რიხიანად შესძახა, — ალბათ ფორმიანი ვერ მიცანი, ახლა მე ხომ მოწაფე ვარ, სკოლაში დავდივარ, კარგად შემომხედე, ხო, ხო, ერგა. აა, მიცანი?

ჩიტი მართლა მოაფრინდა გალიის კედელს, ერთი შესჭიკჭიკა და მხიარულად ახტუნავდა ქანდარიდან ქანდარაზე.

— მიცნო, მიცნო, — გაიხარა მიხომ და გალიას გადაეფოფრა, მკლავები შემოხვია, — ჩემო დიტო, სად იყავი ამდენ ხანს, ანდა რალა ამ სახლში შემოფრინდი, ალბათ მიხვდი, აქ რომ კეთილი ადამიანები ცხოვრობდნენ და კარგად მოვივლიდნენ.

ს. ს. ს. ს.
ს. ს. ს. ს.
გ. გ. გ. გ.

ՀՈՍՏՈՒՄ ԵՎ ԵՅՅԱՆՏԵՎ



ՅՈՒՐԱԿԱՆ - ԶԻՆՆ ԼՅՈՒՅՆՈՒԹՅԱՆ



ՉՆՈՒՆԱԿԻՒՄ ԿՆՏՆԱԿՆԻՒՄ!

ՀԻՊԱՎԱԸԹԱ ԼՅՈՒՅՑԻՒՄՆԱ ԿՄՅԱՆԻՉՎԱԸԼՈՒՄ
2053 ԵՐԵՎԱՆ ԵՐԵՎԱՆ



ՀՈՍՏՈՒՄ, ՅՅՅԱՆՏԵՎ!



ՁԵՐՆԱԿԻՒՄ!

ԻՅՅՈՒՄ ԵՅՅՅԱՆՏԵՎ ԿՆՏՆԱԿՆԻՒՄ, ԿՆՏՆԱԿՆԻՒՄ ԿՆՏՆԱԿՆԻՒՄ, ԵՆՏԵՎ ԿՆՏՆԱԿՆԻՒՄ, ԵՆՏԵՎ ԿՆՏՆԱԿՆԻՒՄ, ԵՆՏԵՎ ԿՆՏՆԱԿՆԻՒՄ.



ԵՆՏԵՎՈՒՄ ԵՆՏԵՎՈՒՄ.



ԿՆՏՆԱԿՆԻՒՄ ԵՆՏԵՎՈՒՄ

თქვენ სტუმარი გვყავსთან ნაოყვანეთ,
ღანაიყვანებო მსახიბი შავიყვანეთ.



აი, ახსნა გვეყილ სანახლად.



გვეფო, ზაძოღა ნაჰაგათ, უსოვღაგა
მუნათა და ახაგ-სოღა აიღეს, ახაგვიტ
შაგვიღანას და აჰათ, ზაღეს-
-სოხოსაღ ვოღან.



სსღა მზა აი აიღს,
აოგაჰუსს ზაჰი
უღა
შავთაჰაგოთ.



ჰაჰგა იგ აიღოთ დაგთანგაგა,
თა შვიღაგ მავღაგა
დაგვიტო-
ვაგ!



ღათანგაგ, გვეფო, მსოიოთ
სანაღაგაღაგაგოთ აა ზაიღა!




აიღიღანა მზაიღა იღაგ გვეოგაგ სანაგაგ!
გვე აი აოღათოსაგ ზაგვიოთ!



ყარალი პირთაგვა მუსა და ყორალი პიჩი პიპი.

მუსარ კვიტარვილი


სისხამ დილით მეზობლებში
კვლავ გაისმა ლანძღვა, ოხერა:
ერთმა ქეცინამ ვირთხამ
ავკიელო და ავკოხრა.
ერთი ამბობს: თავს კავიდა,
არც შიში აქვს, აღარც რიდი,
ეგ წუწავი რკინის ბოძზე
კუდით არის დასაკიდი.
მოკვსნო, აღარ ეშუება
აღარც ბავშვებს, აღარც დიდებს, —
იმის ნაცვლად — დაიძალოს,
ამდგარა და აქეთ გვიტეკვს.
მეორე წუსს: რა შევცოდეთ,
ვისი ცოდვა ვეწიოთ,
ხალხნო, ვეღარც გამიჯია,
ვირთხან თუ მხეცილო.
მესამემ თქვა:
ფრთხილად ვიყოთ,
არ დავტოვოთ ღია კარი,
ხალხში არ შემოგვივარდეს
მტაცებელი ბობოქარი.



თვითეული მობინადრე
არ ზოგავდა ძაღვს, ღონეს,
ახეზარის მოსასწობად
ვერაფერი მოიკოხეს.
რა არ სცადეს და საშველი
არ დადგა ვირთხის წრიალს;
სათაყური რომ დაუდგეს,
გაიტაცა, დაამტვრია.
საწამლავეებს ნაირნაირს
არც კი ახლო ბილწმა შირი,
ჯამიც გადაუიჯავა,
დაახნია თაბაშირი.
სულ ახსოვდა სიერმიდანვე,
რამ იმსხვერძლა მისი ძამა, —
იმ საბრალომ თაბაშირში
არეული ფეკილი ჭამა.
მტერს, — რაც კუსას მოუვიდა,
მეის დაწყო მუცლის გერემა,
კუჭი ამოტრიალდა,
ძამინ მიხვდა, რაც იგემა.
აცხცხცხდა, თან ფიქრობდა:
„ნარჩენი და ნახუფრალი
არ ვიკმარე, რაც შემემთხვა,
არის მხოლოდ ჩემი ბრალი“.
უცნაურად გაბერილი,
გაწურული სიმწრის ოფელში,
ძლივს მიფართხდა ბუნჯამდე
და თავხარი დასცა ცოლ-შვილს.
შეგნეული ამოეწვა,
ცას აწობდა მისი კვნესა,
ძლივს მოასწრო ანდერძის თქმა,
შვილს რომ დაუტოვა წესად:
„შვილო, მუსა... მე მივიდივარ...
დაიხსოვო, დამიჯერე
რასაც გეტყვი, სანანებლად

არ გავიხდეს საქმე მერე...
 თუ არ გინდა, ეს ცხოვრება
 შენც ჩემსავით ჩაიშხამო,
 ფეკილი, ტომრით რომ დავიდგან,
 არ გაბრუნებ და არ ჭამო...
 გთხოვთ... დამძარხოთ წინაბრებთან,
 დამადევით გულზე ქვაო,
 მომიგონეთ ვერაგულად
 დაღუპული ვირთავგაო“.
 სმა ჩაუწედა, შიგ მუცელში
 აძვრესო თითქო შუმა,
 ჩაიკეცა საცოდავი
 და ბუბტივით დაიფუშა.
 გადაემხო კუსას კვამს და
 აქვითინდა ქვრივი კესო:
 ვინც შენ ასე გავიძევა,
 ჩვენი ცოდავ მიეცესო.
 ახლადუღვამაკოკრილმა
 ფიცი დასდო იქვე მუსამ: —
 მაგ დასაქცევ სადარბაზოს,
 დაისომოს, რასაც ვუხამ.
 როგორც ვიციო, ასეც მოხდა,
 მოაუოლა საქმე ქადილს,
 ბედს იწვევლის მთელი სახლი, —
 აგერ, სამი წელი გადის.
 მესობლებმაც თავი სწორედ
 ამ ამბავზე მოიყარეს,
 ითათბირეს, მკერამ ბოლო
 არ უჩანდა კამათს ცხარეს.
 რომ ეკონათ, ფუჭიაო
 მხადება და თადარივი,
 იმედი რომ გადწურეს,
 მაშინ ადგა ჩვენი გივი.
 თქვა: „ეტეობა, მაწანწალას
 მე ავუგო უნდა წესი,
 სულ არ დაბადებულიო,
 იყო მისთვის უმჯობესი.“

ნურაფერი გედარებოთ,
 მე მოვინახე მაგის წამალს,
 ძმრად და შხამად ამოვადენ,
 რაც გვაწვალა და გვაწამა“.
 იმავე დღეს რეინგულის
 მალახის მიამურა,
 თან ერთგული ეხოს ძაღლი
 მიჰყვებოდა გივის, — მურა.
 იქ ნაცნობი გაშიდველი,
 თმაჭადრა ნახა მია;
 ორმოცამდე საფანჯიდან
 ერთი — დიდი, შეარჩია.
 მერე მავთულს, რკალად მოხრილს,
 ამოწმებდა დიდხანს, დინჯად;
 სამბარაზე გადაჭიმა,
 დარტემის ძალა გაუსინჯა.
 იარაღი უტყუარი
 განხვია ფრთხილად, ჰოდა,
 შინ დაბრუნდა კმაყოფილი,
 დაღამებას დაელოდა.



მხატვარი

სოფიო კინწურაშვილი



დელფინარიუმი

მოთარისა ჟჳრიკა

ზატარა მზია მშობლებთან ერთად ბათუმში გაემგზავრა. ბავშვი ცას ეწია, როდესაც დელფინარიუმს ეწვია. სეანსის დაწვევას ოცი წუთი აკლდა. მზია წინა რიგში იჯდა, დელფინები აუშ-ში დასრიალებდნენ. ერთი დელფინი მზიას წინ შეჩერდა და კრ... კრრ...-ო, — დაიძახა. ბავშვი გაოცებული შეაწყერდა დელფინს, მერე აუშთან მივიდა და დელფინს ისე დაუწყო საუბარი, თითქოს დიდხნის უნახავ მეგობარს შეხვდა. — რაო, ჩემო კარგო დელფინო, რა მითხარი? — ჰკითხა სიეპარულით.

დელფინმა თითქოს ზასუსის ნიშნად რამდენიმე ჯერმე თავი დაიქინა და წყალში გაუჩინარდა.

— აქეთ წამოდი, შვილო, აუშში არ გადავარდე, — შიშით შესძახა დედამ.

მზიამ წყალში გაუჩინარებულ დელფინს დაუწყო ძებნა. უეცრად დელფინმა ამოუვინთა, მწვრთნელთან მიცურდა და ზირით რღაც მიანწოდა.

მწვრთნელმა ის რღაც გამობრთვა და სანაცვლოდ სხაში თევზი ჩაუღო: ცნობისმოკვარე მზია იმ წუთში მწვრთნელთან გაჩნდა.

— მია! მია! რა ამოიტანა დელფინმა, რა იყო? — ჰკითხა.

მწვრთნელმა გატეხილი ფილა უჩვენა.

— აუშში ფილა გატეხილა და ფსკერს მოაშორა.

მზიამ აღტაცებით წამოიძახა:

— რა ჰკვიანი ეოფილა?!..

— დელფინები ძალიან ჰკვიანები არიან. — დაეთანხმა მწვრთნელი.

ამ საუბარში იეუნენ, რომ უცებ საში დელფინი მოადგა ნაპირს. მათაც ფილები ეჭირათ. მწვრთნელმა შუბლი შეიკრა, არც თევზი მიათვა და ხელთ ანიშნა, გამეცალეთო.

გაოცებული მზია გაბრახებულ მწვრთნელს მისჩერებოდა, მწვრთნელმა მზიას ხელი მოხვია და უთხრა:

— ხედავ? ერთმა დელფინმა რომ გატეხილი ფილა ამოიღო, მე მას მადლობის ნიშნად თევზი მიყარეთო! ეს რომ სხეუბმა დაინახეს, წავიდნენ და მთელი ფილები ჩამოხსნეს, ეკონათ, კარგ საქმეს ვაკეთებთო. ზატარა მზიამ ბევრი იცინა დელფინების საქციელზე.

ატრეციონი დაიწყო.

მზიას სიხარულს სასწვარი არ ჰქონდა, როდესაც დელფინები მუშაობას შეუდგნენ.

ერთმა ზარი დარეკა, მეორემ ბადემი ბურთი ჩაავლო, მესამემ სიმაღლეზე სტომა დაიწყო, მეოთხემ კი მწვრთნელი შემოისვია ზურგზე და აუშში გააცურა-გამოაცურა.

მზიამ დედას ჩასწურწულა:

— დედიკო, როდესაც გავიზრდები, მეც დელფინების მწვრთნელი გავხდები, კარგი?

ფურისულა

ცირა პიტიაშვილი

ამ ეინვა-ქარმი
რა ეჩქარებათ,
რატომ არიან სულწასულები
ეს მოფუსფუსე,
ეს მოცქრიალე,
ეს მოცანცანე ფურისულები!
— მსაზრობლებად გამოვსაზნილებს
არა გვცოვაო,
არა, სრულებით.
გვსურს, გასაფხულის
პირველ ნაბიჯებს
გზა-გზა შემოვხვდეთ ამოსულები.
ცას შეჰხარიან,
მხეს შეჰხარიან,
წუაროს უსმენენ გასუსულები,
მერე ვარდისფერ კაბის ფრიალით
ქართან ცეკვავენ ფურისულები.

მადლიერი დათვი

ტეგე, დაგელოცა გამჩენი,
ერთთავად ჩემსედ ზრუნავდი.
ხან თაფლს მაწვდიდი, ხან ხილსა,
იუგუ გულუსვი, ჰურადი...
ღრმა ხევში ცივ წყალს მასმევდი,
მწვეურვალსე ნისლებს მსურავდი
და ბელი დათვად გამწარდე,
გამხადე დინჯი, გულადი.
აუ, რა თბილად მომირთე
ეს საწოლი და ბუნავი,
შენსედ სიხმრებიც მასისმრე,
ვიძინებ გასაფხულამდი.

ჯადოსნური სიტყვა

ვალენტინა ოსეპვა

ჩია ტანის თეთრწყვერა მოხუცი ბაღში სკამზე იჯდა და ქვიშაზე ქოლგის წვერით რაღაცას ხაზავდა.

— გაიწიეთ! — უთხრა მას პავლიკმა და სკამის კიდეზე ჩამოჯდა. მოხუცმა გაიწია. რომ შემამჩნია, ბიჭი გაწითლებული და გაჭავრებული იყო, ჰკითხა:

— ხომ არაფერი შეგემთხვა?

— შემემთხვა. მერე თქვენ რა? — შეუბღვირა პავლიკმა მოხუცს.

— შე არაფერი, აი შენ კი წელან უვიროლი, ტიროლი, ვიღაცას ეჩხუბებოლი.

— დიახაც რომ ვიყვირებ. მალე სულაც გავიქცევი სახლიდან, — წაიბუზღუნა ბიჭმა გაჭავრებით.

— გაიქცევი?

— გავიქცევი! სწორედ ღენკას გამო გავიქცევი. — პავლიკმა მუშტები მოიღირა. — აი, ახლა, კინალამ არ ვცემე ღენკას, საღებავებს არ მძღღევს. არადა რამდენი აქვს!

— არ გაძღღევს? მაგისთვის გაქცევა არ ღირს.

— მარტო ამისთვის კი არა! ბებიაშ ერთი სტატილოს გულისხათვის სამზარეულოდან გამომაგლო... ჩვარი მომარტყა, ჩვარი...

პავლიკი აფშლუკუნდა.

— ეგ არაფერია, — უთხრა მოხუცმა. — ერთი გაწყენინებს, მეორე შეგებრალღებს.

— მე არავის ვებრალღები! — წამოიყვირა პავლიკმა. — აი, თუნდაც ჩემი ძმა. ნავით მიღის სასეირნოდ, მე კი არ მივყავარ. ვეუბნები: „გირჩენია წამოყვანო, თორემ სულ ერთია, მაინც არ მოგეშვები. ნიჩბებს მოგტაცებ და ნავში უშენოდ ჩავჭღღები!“ — პავლიკმა მუშტი დაარტყა სკამს და უცებ გარჸმდა.

— მაშ, არ მიუჯახარ ძმას, ჰა?

— რატომ მეკითხებით ყველაფერს?

მოხუცმა გრძელ წვერზე ხელი ჩამოისვა. — იმიტომ, რომ მინდა დაგეხმარო. ისეთი ჯადოსნური სიტყვა ვიცი...

პავლიკმა პირი დააღო.

— გაგანღობ ამ სიტყვას. მაგრამ გახსოვღებს: როღღესაც ვინმეს ეტყვი, თვალღბში უნდა შეხედო. აბა, კარგად დაიმახსოვრე! წუნარი მშით უნდა უთხრა და თან თვალღბში უცქირო.

— მითხარი, მითხარი რა სიტყვაა!



მოხუცი ბიჭის ყურთან დაიხარა — მისი ფაფუკი წვერი პავლიკის ლოყას შეეხო — რაღაც წასჩურჩულა და შემდეგ ხმაშლიდა დაუმატა: — ეს ჩადოსნური სიტყვაა, ოღონდ არ დაგვიწყდეს, როგორ უნდა თქვა.

— ცვდი, — ჩაიცინა პავლიკმა. — ახლავე ცვდი.

პავლიკი წამოხტა და შინისაკენ გაიქცა. ოთახში რომ შევიდა, დაინახა, რომ ლენა მაგიდას მისჯდომოდა და ხატავდა. მწვანე, წითელი და ლურჯი საღებავები წინ ეწყო. მოჰკრა თუ არა ლენამ პავლიკს თვალი, მაშინვე შეაგროვა საღებავები და ხელი დააფარა.

„მომატყუა მოხუცმა! — გულისტკივილით გაიფიქრა ბიჭმა. — ასეთ გოგოსთან განა გაჭირს ჩადოსნური სიტყვა?“

პავლიკი თვარდით ამოუღდა დას და სახელოზე ჩამოსწია. თან თვალღებში შეხედა და წყნარი ხმით უთხრა:

— ლენა, მომეცი რა ერთი საღებავი, გთხოვ...

ლენამ გაოცებით შეხედა ძმას. საღებავებზე დაფარებული ხელი ნელ-ნელა ასწია და დარცხვენით ჰკითხა: — რომელი გინდა?

— ლურჯი, — გაუბედვად უპასუხა პავლიკმა, მერე საღებავი აიღო, ცოტა ხანს ხელში დაიჭირა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ისევ დაუბრუნა დას. ახლა ბიჭს საღებავი კი არ აინტერესებდა, ჩადოსნურ სიტყვაზე ფიქრობდა. „მოდო, ბებიასთან შევალ სამზარეულოში, სადილს ამზადებს. ვნახოთ, თუ ისევ გამომაგდება!“

პავლიკმა სამზარეულოს კარი შეაღო. მოხუცი ღუმელიდან ცხელ-ცხელ ნამცხვრებს იღებდა. შვილიშვილმა ბებიასთან მიიბრინა. ორივე ხელით შემოატარიალა თავისკენ. თვალღებში ჩახედა და ჩასჩურჩულა: — მომეცი ერთი ნამცხვარი... გთხოვ.

ბებია წელში გაიმართა. ჩადოსნურმა სიტყვამ წამსვე გაუბრწყინა სახე, თვალღები. — ცხელ-ცხელი... ცხელ-ცხელი გინდა, ჩემო მტრედო? — ბუტბუტებდა ბებია და თან ყველაზე კარგსა და დაბრაწულ ნამცხვარს არჩევდა.

პავლიკმა სიხარულით შეიკუნტრუშა და ორივე ლოყა დაუკოცნა ბებიას. ბიჭი ფიქრობდა მოხუცზე და თავისთვის ჩურჩულებდა: „ჩადოსნურია, ნამდვილად ჩადოსნურია“.

სადილზე პავლიკი სულგანაბული იჭდა და ძმის ყოველ სიტყვას ყურს უგდებდა. როდესაც ძმამ თქვა, ნავთ მივდარს სასეირნოდო, პავლი-



კმა მხარზე ხელი დაადო და ჩუმად უთხრა: მეც წამიყვანე რა, ძალიან გთხოვ.

სუფრაზე ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა, ძმამ წარბები ასწია და გაიცინა. — რა გიჭირს, რომ ერთხელ მინც წაიყვანო, — ლაპარაკში ჩაერია და.

— რატომ არ უნდა წაიყვანო, — ღმილით უთხრა ბებიამ.

— წამიყვანე, წამიყვანე, გთხოვ, — შეეხვეწა პავლიკი.

ძმამ პავლიკს მხარზე ხელი დაჰკრა, თმა აუჩეჩა და სიცილით უთხრა: — დამიხედეთ მოგზაურს! კარგი, მოემზადე!

„მიშველა! ისევ მიშველა!“

პავლიკი სუფრიდან წამოხტა და ქუჩაში გავარდა. მაგრამ მოხუცი ბაღში აღარ იჭდა. სკამი ცარიელი დაუხვდა, მხოლოდ ქვიშაზე იყო დარჩენილი ქოღვით დახაზული გაუგებარი ნიშნები.



წიხვი

პარლო კობარიძე

ვისაც უნდა ვკითხოთ, შინაური ფრინველი რომელიაო, წუთითაც არ დაფიქრდება, ისე ჩამოთვლის: ქათამი, იხვი, ინდაური და ბატი. თითქოს წუხტი პასუხია, მაგრამ ფიქრში თუ მივდგებ-მოვდგებით და უფრო სოფელი ნათესავების, ახლობლების, ნაცნობების ეწო-ყურეში მოვატარებთ თვალს, ადვილად აღმოვაჩინებ შეცდომას — თურმე ნუ იტყვიო, ციცარი და მტრედი გამოჩინია! ციცარი „ქათმის ჭიშის ფრინველია, აქვს მუქი ნაცრისფერი, კოპლებიანი ბუმბული“. მართალია მტრედი და ციცარი ისე არ არის მომრავლებული, როგორც სხვა შინაური ფრინველი, მაგრამ შინაური ჰქვია მაინც. შინაური და მოშინაურებული ერთმანეთში არ უნდა აგვირიოს: ვინმეს თუ ჰყავს კაკაკი, ყვავი, ჩხიკვი, ან სხვა რომელიმე ფრინველი, ამას მოშინაურებულს ვეძახით — ბახალას, ბარტყს გავრდიან ხოლმე, სხვანაირად ძნელია მოშინაურება. ახლა შინაური ფრინველი რომ ჰქვია, ისიც გარეული იყო და უსსოვარ დროს მოიშინაურა აღამიანმა, ჩვენ კი გვგონია, თითქოს არასოდეს ყოფილა გარეული.

ჩემს სოფელსა თუ სხვა სოფელში რომ მოვხვდები ხოლმე და ვხედავ, ვინმეს ეწო სავსეა ფრინველით, ძალიან, ძალიან მისარია! ეწოს სიმწვანეთი თუ ფერადი წიწილებიც დავინახე, როგორც უნდა მეჩქარებოდეს, ვჩერდები და ვუყურებ: კრუხი იპოვის ქია-ლუას, მარცვალს, აიღებს ნისკარტით, მერე ისევ დადებს, თავს აწევს და კუტკუტით უხმობს შვილებს. ამ ხმინაობაზე ფრთებგაშლილი გარბიან წიწილები, იციან, რომელიც მოასწრებს, იმისია დედის. ნაპოვნი საჭმელი. შვილის სიყვარული ისეთი გძმნობაა, ქორი ხომ ქორია, — საბუღარზე ჯდომით გაღიჟღავნებული კრუხი ქორსაც კი შებრძოლებია, როცა ის წიწილის მოხატაცებლად დასცემია. სცადეთ ერთი, წიწილა აიყვანეთ ხელში, ააწივწივით, რა დღეში ჩავარდება კრუხი, პირისახეში მოვაფრინდე-


ბათ! სულ დაცვეტილია კრუხი, თვალი და ყურა მარჯვედ უჭირავს, ემანდ, ან არ მომპარონ, წაშორდეს წიწილა, ანდა თვითონ არ დაიკარგოს ასე ზრდის მანამდე, ვიდრე წიწილები ჩრისვებად არ იქცევიან. თუმცა აჯობებს თავიდან დაიწყეთ.

დედალი კვერცხის დებას რომ დაიწყებს, ამაზე ვამბობთ, მოიქცაო—დედალი მოიქცაო. დედალი საქათმეში, საბუღარში კი არა, ბარდში, ბუჩქში, სათივრეში ან სხვაგან რომ დებს კვერცხს, ამაზე იტყვიან, კვერცხები მოიპარაო. ასე, ქურდულად დადებული კვერცხების მიგნება ძნელია. მერე, წიწილებს რომ გამოჩეკს, ორისამი დღის შემდეგ იქ მიჰყავს, სადაც საკენეს უყრიან ქათმებს — პატრონი დინახავს და აკმევსო.

ჩიტის ბარტყები მთლად ტიტვლები, დაუმბლავები იჩეკებიან, წიწილები—დაბუმბულელები. „ახალდაჩეკილ, ნაზუმბულიან წიწილას“ ქულას ეძახიან. კვერცხიდან გამოყოფილი ბუმბული რომ გასცვივა, ისეთ წიწილაზე იტყვიან—ჩრისვიო, მოჩრისვიო, მოჩიტლასაც ამბობენ. ჩრისვი თანდათან იზრდება, მერე ვატყობთ უკვე, რომელი სამამლა და რომელი—სადედლე. სადედლეს ვარია ჰქვია, სამამლეს ყვინილა;

- ბატის და იხვის მონაშენს—ქუტყული;
- ინდაურისას—ქუცი;
- ციცარისას—წიწილა;
- მტრედისას—ხუნდი.

ალბათ ისეთი ქათამიც გინახავთ, ყელზე ბუმბული რომ არა აქვს. ასეთ ქათამს ყინტორა, ყინტორა ჰქვია. ხოლო, ისეთ ქათამს, ფხებზე რომ აქვს ბუმბული—ბაჭურჯას ვეძახით.



მხატვარი ელუარდ ამბოკაძე

დედალმა კრიახი იცის; როცა წიწილებს უხ-
მოხს,—კუტკუტი;

მამალმა— ყვილი;

ბატმა— ყუინი, სისინი;

ინდაურმა—რუჟრუჟი, ყვიტყვიტი, კვიკვივი;

იხვმა—ყვიტყვიტი, ყუინი;

მტრედმა—ლულუნე.

ფრინველს, რომელიც კვერცხებზე ზის, კრუ-
ხი ჰქვია. კრუხს ვეძახით მაშინაც, როცა წიწი-
ლებს, ბარტყებს, ჭუტებს, ჭუჭულებს... გამო-
ჩეკს ხოლმე.

ქათამს რომ დავინახავ, ერთი ანდაზა მახსენ-
დება ყოველთვის. მინდა თქვენც დაიმახსოვროთ
ეს ანდაზა: ქათამა უთხრა კვერცხსაო, აგრე ვიყა-
ვი მეცაო.



თუ ბიჭი ხარ, გამოიცანს,
მოლოდინში მიცემს გული:
ჩეხვა, კაუჭა, თლა და სხეხა
არეინ იცის მისებური,
მაგარი ხის ტანი აქვს და
ცხვირი — არწივისებური.

შოთა აშირანაშვილი

ჯერ მიწისქვეშა რკინიგზის
სახელწოდებას ველი,
და არც სასწოროთ სიმძიძის
გაგება არის მხელი.
ორივეს ბოლო სმოჯანი
უნდა შეცვალო ახლა,
რომელთა სამაგეოროც
ანბანში მეცხრე გახლავს.
ხოლო თავსართის შემცვლელი
მუთხუთმეტეა რიგით!
ქართუვლთა მონასტერია,
ბულგარეთშია იგი.



წიქუე

საქართველოს ალკ კვ-ისა
და ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რმსსაზღვრიანი საბჭოს შიშ-
ნალო უმცროსკლასელით-
ვის.

გამოცემის 1904 წლიდან
საქ. კვ-ის გამოცემილობა.

შთავარი რედაქტორი
მევიმე ნიშანაძე

სარედაქციო კოლეგია: მუშარდ აბო-
ქაძე, მინანა აბიხაძე, ლეონიდა ბაბუა,
მერი ლავიანიშვილი, ლეონიდა მარაძე,
გელა ლოსაბერიძე, მამკვალა მრგვლი-
შვილი, ჯურჯა ნადირაძე, გიორგი
როიბიშვილი (სამხატვრო რედაქტორი),
იმანაოზ ჩალაური (პ/მე. მდიანი), გი-
ვიმე მუხომბე, გივი გვიგინაძე, სესილ
პოპოვიჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
მევიმე წიქუელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემილობის,
სტამბის—თბილისი, ღვინისი 14. ტელ.
მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15;
პ/მე. მდიანის 93-10-32, 93-98-18; სახმ.
რედაქტორის—93-98-18; გაყუთილუბე-
ვის 93-98-19.

გადამცემი სახეობად 8.01 მთ. წ. ხელმო-
წერილობა დასაბუჯად 20x30x4 წ. ქაღალ-
დის ზომის 60x90/8, უთი. საბ. ურც.
2.5 ტრაფი 168.000, შეკვეთა №41

ვლახე ნახატი
მევიმე ზურაბიძისი

«Диала» («Утро») еженесячный жур-
нал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского
Республиканского Совета Всесоюзной
пионерской организации им В. И.
Ленина для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энивер Нишарაძე (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №41



წახაბტი

მითხრობა

მხატვარი

პესო ზუგაშვილი